გელათის სამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობაზე განხორციელებული სამუშაოები

2023 წლის აპრილის შეთანხმების თანახმად, საქართველოს საპატრიარქომ პასუხისმგებლობა აიღო გელათის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო, სარესტავრაციო, საკონსერვაციო და სხვა საჭირო სამუშაოების განხორციელებაზე.[1] საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით ჩამოყალიბდა გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი, რომლის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს გელათის კედლის მხატავრობის კონსერვაცია.

2023 წლის გაზაფხულიდან გელათის კომიტეტმა შექმნა კედლის მხატვრობის კონსერვაციის ჯგუფი, რომელთაც პირველად, კომპლექსური მიდგომით, სიღრმისეულად და სრული მასშტაბით დაიწყეს გელათის ღმრთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობის მდგომარეობისა და ტექნოლოგიის აღწერა-დოკუმენტაცია[2]. 2023 წლის ივლისში[3], ძეგლზე მხატვრობის მდგომარეობის გასაცნობად და საკონსერვაციო სამუშაობის ხელმძღვანელობაზე მოსალაპარაკლებად, კომიტეტმა მოიწვია კედლის მხატვრობის საერთაშორისო ექსპერტები სტივენ რიკერბი და ლიზა შეკედე, რომლებიც სათავეში ჩაუდგენ გელათის კედლის მხატვრობის კონსერვაციას. 2023 წლის სექტემბერში კედლის მხატვრობის კონსერვაციის საერთაშორისო ხელმძღვანელების მიერ შეიქმნა კედლის მხატვრობის კონსერვაციის პროგრამა[4], რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- მარილებისა და მასალაში ტენიანობის კვლევას
- გარემო - პირობების კვლევა-მონიტორინგს
- ორიგინალი ტექნოლოგიისა და მდგომარეობის კვლევა - მონიტორინგს
- ფიზიკური ჩარევების დაგეგმვასა და მათ განხორციელებას.

2023 წლის გაზაფხულიდან - 2024 წლის თებერვლის ჩათვლით ეტაპობრივად განხორციელდა გელათის ღმრთისმშობლის შობის ტაძრის მთავარი სივრცის ოთხივე მკლავის და ოთხივე რეგისტრის კედლის მხატვრობის ორიგინალი მასალისა და მდგომარეობის დიაგნოსტიკა და შესაბამისი დოკუმენტირება - ფოტო, გრაფიკა და ტექსტური მასალა[5]. აღიწერა და დაჯგუფდა მხატვრობის ფენები, მათი

---

[1] https://gelatirehabilitation.ge/ka/committee
[2] https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/23
https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/24
[3] https://gelatirehabilitation.ge/uploads/documents/docs/kedlis-mkhatvrobis-teqnologiis-agcera.pdf
[4] https://gelatirehabilitation.ge/uploads/documents/docs/wall-painting-conservation-plan.pdf
[5] იხილეთ სქოლიო 2, 3 და https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/29
https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/30

შემადგენლობა და მახასიათებლები; განისაზღვრა და კატეგორიზაცია მოხდა დაზიანებათა სახეობების და მათი გავრცელების. პარალელურად მუშავდებოდა ძეგლის ისტორია, წინა პერიოდის კვლევები და ჩარევები, რათა განსაზღვრულიყო ძეგლზე მოქმედი ყველა ფაქტორი, რამაც ძეგლის ჩვენამდე ამ სახით მოსვლა გამოიწვია. განსაკუთრებით საყურადღებოა ნაგებობაში წყლის მუდმივი ჩადინების გავლენა და წინ პერიოდის კონსერვაცია-რესტავრაციის შედეგები. აღნიშნული მოკვლევითი სამუშაოების პარალელურად (საქართველოს საპატრიარქოს თხოვნით 2022 წლის ოქტომბრიდან ხორციელდებოდა გელათის კედლის მხატვრობის პერიოდული მონიტორინგი, რაც დაზიანებათა დინამიკისა და ხარისხის დადგენას ემსახურება[6]. შესაბამისად, ზემოთ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განისაზღვრა და დაჯგუფდა კედლის მხატვრობის კრიტიკული არეები[7].

2023 წლის დეკემბრიდან მონიტორინგის პარალელურად დაიწყო მარილების ტიპებისა და მათი ადგილმდებარეობების განსაზღვრა, ადგილზე მარილების იონური შემცველობის კვლევა და სინჯების ასაღებად ლოკაციების შერჩევა. ამ დაკვირებისა და კვლევის შედეგად ადგილზე მოხდა სინჯების აღება, ხოლო გაღმავებული ანალიტიკური კვლევებისთვის სინჯები გაიგზავნა გერმანიაში, პოტსდამის გამოყენებათა მეცნიერების უნივერსიტეტში, პროფესორ სტეფან ლაუესთან. 2024 წლის მარტსა და ივლისში პროფესორმა ლაუემ ადგილზე განახორციელა ზედაპირული მარილებისა და კედლის მხატვრობის სიღრმეში არსებული მარილების დამატებითი სინჯების აღება, რაც შემდგომ გერმანიაში ლაბორატორიულ პირობებში დამუშავდა ზუსტი შემადგენლობისა და ტენის შემცველობის გამოვლენის მიზნით. ამ ეტაპზე შესწავლილ იქნა: ა) ზედაპირული მარილის სინჯი; ბ) სტრუქტურის სიღრმეში არსებული მარილის სინჯი; გ) ნალესობიდან აღებულ სინჯებზე ჩატარდა ანალიტიკა; დ) წინა საკონსერვაციო მასალას ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა. ჩატარებული კვლევების შედეგები გამოყენებული იყო დამაზიანებელი ფაქტორების განსაზღვრასა და მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების დაგეგმვა-შესრულებაში[8].

2024 წლის მარტში მარილების კვლევებთან ერთად შემუშავდა გელათის კედლის მხატვრობის საანალიზე სტრატეგია საკვლევი საკითხების ფორმულირებითა და

---

[6] https://gelatirehabilitation.ge/uploads/documents/docs/ICOMOS.pdf
https://gelatirehabilitation.ge/uploads/documents/docs/881240bb5b49b5a0e4bda4b2eda9c609.pdf
https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/31
https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/32
[7] გელათის კედლის მხატვრობის კრიტიკული არეები
[8] https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/35
https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/39

კვლევის მეთოდების განსაზღვრით. სტრატეგია სრულად დაეყრდნო 2023 წლის აპრილ - 2024 წლის თებერვლის პერიოდში შესწავლილ მასალას, ადგილზე დაკვირვებებსა და შეფასებებს. სტრატეგიის მიხედვით განხორციელდა დამატებითი დიაგნოსტიკური და ანალიტიკური კვლევები[9]. მოხდა მხატვრობის მულტისპექტრული ფოტოგადაღება - ულტრაიისფერი და ინფრაწითელი ნათებებით ორგანული და არაორგანული მასალების ინდიკაცია, ინფრაწითელი თერმოგრაფიით სტრუქტურის დათვალიერება, რენტგენოფლუორესცენტრული ხელსაწყოთი მასალის ელემენტარული შემადგენლობის განსაზღვრა და ფერწერისა და ნალესობის სინჯების აღება ლაბორატორიული მიკროსკოპული შესწავლის მიზნით, რათა განისაზღვროს შემადგენლობა და სტრატიგრაფია. 2024 წლის მარტში მოხდა ფიზიკური ჩარევების მეთოდოლოგიის შემუშავება, რამაც პირველ ეტაპზე მოიცვა, როგორც საველე ლაბორატორიული კვლევები, ისე ძეგლზე სატესტო გამაგრებითი სამუშაოები და მხატვრობის კრიტიკული ადგილების გადაუდებელი სტაბილიზაცია (ჩრდილო-დასავლეთი ეკვტერი, ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვტერი, სამხრეთ დასავლეთი ეკვტერი, ჩრდილოეთი მკლავი, დასავლეთი თაღი)[10]. 2024 წლის ივლისში კვლევებისა და ფიზიკური სამუშაოების მეორე ეტაპი განხორციელდა - გაგრძელდა ფიზიკური სამუშაოების 3 მიმართულება: 1. კრიტიკული ადგილების გადაუდებელი გამაგრებები; 2. ზოგადი საკონსერვაციო ჩარევები, უკვე შემუშავებული და მოდიფიცირებული მეთოდოლოგიით; 3. დამატებითი სამკურნალო მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის საჭირო საველე კვლევები და ადგილზე ტესტირება (მაგ. წინა საკონსერვაციო ჩარევების მასალის მოხსნა, ფერწერული ფენის გამაგრება, მარილების ექსტრაქცია)[11].

2024 წლის ივლისიდან 2024 წლის დეკემბრის ჩათვლით ღმრთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მთავარ სივრცეში გაგრძელდა ძირითადი ფიზიკური საკონსერვაციო სამუშაოები. განხორციელდა: ნალესობის ფენებისა და კონკრეტული ფერწერული ფენების გამაგრება; მარილების მექანიკური მოხსნა ჩრდილოეთ მკლავში, აფრებსა და თაღებში. გადაუდებელი ჩარევები გაკეთდა: ა) ჩრდილო-დასავლეთ აფრაზე; ბ) ნათლისღების სცენაზე; ქრისტეს გამოსახულებაზე ტიმპანში (სამრეთ მკლავში); გ) ნართექსში; დ) ჩრდილოეთ მკლავში და ე) დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედელზე. მოიხსნა დასავლეთი მკლავის ნიშაში არსებული (2022 წელს დროებით გამაგრებული) განშრევებული მხატვრობა. დასავლეთ მკლავში ფერხთა ბანისა და საიდუმლო სერობის სცენებზე

[9] https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/35
https://gelatirehabilitation.ge/uploads/documents/docs/Research-and-Educational-Programme-Report_Gelati_2024.pdf
[10] https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/35
[11] https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/39

მექანიკურად მოიხსნა გამომარილებული ფენა და გამაგრდა მხატვრობიანი ნალესობის ფრაგმენტები, რომელიც ჩამოვარდნის მაღალი რისკის ქვეშ იყო[12].

2024 წლის მაისსა და ივნისში განხორციელდა ჩრდილო-დასავლეთი ეკვტერისა და ჩრდილოეთი კარიბჭის მდგომარეობის, ტექნოლოგიისა და ფიზიკური ისტორიის აღწერა-დოკუმენტაცია[13]. 2024 წლის სექტემბრიდან - 2024 წლის დეკემბრის ჩათვლით ფიზიკური სამუშაოების პარალელურად გაგრძელდა ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვტერის, სამხრეთ-დასავლეთი ეკვტერის, სამხრეთი კარიბჭისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვტერის დიაგნოსტიკა[14].

გარემო პირობების კვლევის მიმართულებით, გელათის რეაბილიტაციის კომიტეტის მმართველობის დროს, 2023 წლის დეკემბერში, შეიკრიბა, გასუფთავდა და დამუშავდა 2021 - 2023 წლის მონაცემები[15], რომელიც უმეტესად მხოლოდ ტექნიკური ჩანაწერის სახით არსებობდა და დამუშავების გარეშე არავითარ სამეცნიერო ღირებულებას არ წარმოადგენდა. მეცნიერული სტანდარტით დაიგეგმა და დაორგანიზდა გარემო პირობების საჭირო მონიტორინგის სტრატეგია და მოერგო გელათის კედლის მხატვრობის კონსერვაციის პროგრამას. 2024 წლის დეკემბერში დამუშავდა 2023-2024 წლის მასალა. გარემო პირობების ანალიზი, ასევე, მოიცავს გარემო პირობების გავლენას კედლის მხატვრობის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით მარილების დაშლა-კრისტალიზაციის ციკლებზე[16].

---

[12] გელათის მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობის ფიზიკური ჩარევები_დეკემბერი_2024

[13] https://gelatirehabilitation.ge/ka/painting/view/37

[14] ჩრდილო-აღმოსავლეთი ეკვტერი; სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვტერი; სამხრეთი კარიბჭე; სამხრეთ-დასავლეთი ეკვტერი

[15] 2020 წლის დეკემბერში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მაშინდელი თანამშრომლის მარიამ საღარაძის მიერ შემუშავდა გარემო პირობების მონიტორინგის პროგრამა, სტრატეგიის მიხედვით შეძენილ იქნა და დამონტაჟდა გარემო პირობების სენსორები გელათის წმ. გიორგის სახელობისა და ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრებსა და ეზოში. 2022 წელს აღნიშნული სენსორები შეცვალეს, რა დროსაც მოხდა დიდი რაოდენობით მონაცემების დაკარგვა. 2022 წელს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოხდა ამინდის სადგურის ეზოში დამონტაჟება, რომელიც ატმოსფერული ნალექების, ქარის, ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის მონაცემებს იწერს.

[16] გელათის მთავარი სივრცის გარემო პირობები_2024; გელათის ჩრდილოეთი მინაშენების გარემო პირობები 2024; გელათის სამხრეთი მინაშენების გარემო პირობები 2024;